ხელშეკრულება № 02-03/4
შახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ბათუმი 18 იანვარი 2021 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 თავის, მე-10^1 მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი” (შემდგომში – დამკვეთი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „SKYTEL“ (შემდგომში – შემსრულებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ ხოჯაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

„შემსრულებელი“ – „SKYTEL“, მისამართი: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ., №23ა

„დამკვეთი“ – ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი” , მისამართი: ქ. ᲑᲑათუმი გოგებაშვილის ქ.№46ქ.

„ელექტრონული ფოსტა“ – ელექტრონული საფოსტო მისამართი, რომლის საშუალებითაც ხდება მიმოწერის ორგანიზება ინტერნეტის სხვა მომხმარებლებთან.

“მომსახურება” – ელექტორნული საკომუნიკაციო მომსახურების პროდუქტების ერთობლიობა, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შემსრულებლმა უნდა მიაწოდოს დამკვეთს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი”-ს მიერ 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აჭარის არ ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამა 070707), ჩაქვისა და გვარა-ხუცუბნის სანერგე მეურნეობების განვითარების პროგრამის ფარგლებში ინტერნეტმომსახურების (CPV კოდი 72400000 – ინტერნეტ მომსახურებები) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1-ისა და დანართი №2-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.

2.2. შემსრულებელი ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად ახორციელებს დამკვეთის მომსახურებას ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში. მხარეები დამატებით თანხმდებიან, რომ შემსრულებელი ვალდებულია დროის რაც შეიძლება მოკლე მონაკვეთში აღმოფხვრას დაზიანება, რომლის შედეგად დამკვეთს შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება და რომლის აღმოფხვრის ვალდებულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილება θ 3-ით 2006 წლის 17 მარტს დამტკიცებული ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის (*შემდგომში* „მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი“) შესაბამისად ეკისრება შემსრულებელს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტით შესაბამისი სახის დაზიანების აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადების შემსრულებლის მიერ დარღვევის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ შემსრულებელმა არ გაუწია დამკვეთს მოცემულ დღეს ამ ხელშეკრულებით დადგენილი მომსახურება და შესაბამისად მოხდება დამკვეთისათვის მომსახურების საფასურის გადახდის თარიღის პროპორციული გადავადება.

2.3. დამკვეთი ავალებს, შემსრულებელი კი ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს დამკვეთი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების პროდუქტებით, როგორც ეს მოცემულია დანართში №1

3. მომსახურების ხარისხი:

3.1 მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ მეორე მუხლის მეორე პუნქტსა და დანართში №1 მითითებული საკომუნიკაციო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფა შეიძლება იყოს შემსრულების კონტროლისა და შესაძლებლობის მიღმა, და დამოკიდებული იყოს სხვადასხვა ინტერნეტ-პროვაიდერისა და ოპერატორის ტექნიკურ შესაძლებლობებზე. შესაბამისად, შპს „SKYTEL“-ის გარანტიები მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით შემოიფარგლება მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ქსელით, თუ სხვა რამ არ არის კონკრეტულად მითითებული დანართში №1.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. დამკვეთის უფლება-მოვალეობანი:

4.1 დამკვეთი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ ისარგებლოს მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისათვის, გარდა მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით აკრძალულისა.

4.2 დამკვეთის მიზეზით მომხდარი ნებისმიერი დაზიანება,რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის მომსახურების მიწოდების შეფერხება, არ ათავისუფლებს დამკვეთს სავარაუდო მომსახურების ღირებულების გადახდისაგან.

4.3 დამკვეთი ვალდებულია დროულად დაფაროს შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების გადასახადი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.4 დამკვეთი მთლიანად თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას და რისკს რომელიც თან ახლავს ინტერნეტის ქსელით სარგებლობას. კერძოდ, ინტერნეტის ქსელში ჩართული ან სხვა გზით დაკავშირებული მესამე პირის მიერ დამკვეთისათვის რაიმე საქონლის ან მომსახურების მიყიდვისას შემსრულებელი არ არის ანგარიშვალდებული ამ საქონლის ან სერვისის ხარისხზე, ფასზე ან მესამე მხარის კეთილსინდისიერებაზე.

4.5 შემსრულებელს არ ეკისრება რაიმე სახისა თუ ფორმის პასუხისმგებლობა მომსახურებით დამკვეთის მიერ სარგებლობისას დამკვეთისათვის ან მესამე პირისათვის მიყენებულ მორალურ ან ფინანსურ ზარალზე/ზიანზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ზიანი / ზარალი დადგა შემსრულებლის პირდაპირი ბრალეული მოქმედების შედეგად.

4.6 დამკვეთს უფლება აქვს ისარგებლოს სერვისის უფასო 20 (ოცი) დღიანი შეჩერების უფლებით 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში და დამატებით 30 დღიანი ფასიანი შეჩერების უფლებით. ფასიანი შეჩერების ღირებულება და გადახდის წესი განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-8 პუნქტში.

4.7 დამკვეთი ვალდებულია, მისი ქსელის შესაბამისი ელემენტების დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოს მისივე სარგებლობაში/მფლობელობაში მყოფ ან და განთავსებულ შემსრულებლის კუთვნილ აპარატურასთან დაზიანების ჯგუფის / შემსრულებლის წარმომადგენლ(ებ)ის შეუფერხებელი დაშვება.

4.8 დამკვეთს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლია დაუკავშირდეს კომპანიის მიერ გამოყოფილ მენეჯერს **(790 333 933)** და მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია.

4.9 ნებისმიერი მესამე პირის მიერ დამკვეთის ქსელის, აპარატურის, ტექნიკური თუ პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით (მათში შეღწევისა და ექსპლუატაციის / გამოყენების გზით) განხორციელებული ნებისმიერი სახის მოქმედებაზე, რომელსაც რაიმე სახის ზიანი მოაქვს შემსრულებლისათვის, პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს.

4.10 დამკვეთი იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას გარე და სხვა დაზიანებებისაგან მასთან დამონტაჟებული , შემსრულებლის საკუთრებაში მყოფი მიმღებ-გადამცემი მოწყობილობა, რომელიც ჩაბარებული აქვს №1 დანართის მიხედვით.

5. შემსრულებლის უფლება-მოვალეობანი:

5.1 შემსრულებელი ვალდებულია გაუწიოს დამკვეთს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დაცვით.

5.2 შემსრულებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მომსახურების მიწოდებაზე მის საკუთრებაში არსებული ლიცენზიებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საფუძველზე, თუ:

- მომსახურების მიწოდება შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული მოვლენების გამო.
- დამკვეთი არ იცავს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, მათ შორის დროულად არ იხდის მიწოდებული მომსახურების საფასურს.
- დამკვეთი იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს სატელეკომუნიკაციო საშუალებები არაკანონიერი მიზნებისათვის ან არაკანონიერი გზით მიიღოს მომსახურება.

5.3 შემსრულებელს უფლება აქვს მოსთხოვოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემსრულებლის უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

5.4 შემსრულებელი პასუხს არ აგებს იმ ზარალისათვის რაც დამკვეთს შეიძლება მიადგეს დამკვეთის კომპიუტერში მესამე პირის მიერ უსანქციო ან დამკვეთის მიერ სანქცირებული შეღწევის შედეგად, ვინაიდან შემსრულებლის მოვალეობა შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემებისა და ინფორმაციის გატარების (მიწოდების) უზრუნველყოფით და თავად დამკვეთია პასუხისმგებელი მისი კუთვნილი სისტემების დაცვაზე მესამე პირების მიერ ხელყოფისაგან.

5.4 შემსრულებელი არ არის ვალდებული დამკვეთის ქმედებით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში შეაკეთოს მის სარგებლობაში/მფლობელობაში არსებული შიდა ქსელი. დაზიანების შეკეთება ჩაითვლება ფასიან სერვისად და საფასური განისაზღვრება ინდივიდუალურად დაზიანებიდან გამომდინარე.

5.7 შემსრულებელი არ არის პასუხისმგებელი შენობაში მდგარი ცენტრალური გამანაწილებლიდან დამკვეთის კუთვნილ ფართამდე ქსელის დაზიანებაზე. აღნიშნული დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში შემსრულებელი უზრუნველყოფს მის შეკეთებას შეტყობინებიდან მაქსიმუმ 72 საათის განმავლობაში, ან უფრო ნაკლებ დროში თუ ეს გათვალისწინებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტით.

5.8 შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების ღირებულება, თუ ამის მიზეზი გახდა სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება. მომსახურების ღირებულების ცვლილების შესახებ შემსრულებელი ვალდებულია წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით შეატყობინოს დამკვეთს მისთვის ხელმისაწვდომი გზით, მათ შორის შემსრულებლის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე წწწ.გოლდ.ნეტ.გე –ზე ინფორმაციის გამოქვეყნებით, ან/და ელექტრონული ფოსტით ან სხვა ფორმით.

5.9 ლარის კურსის მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია შეცვალოს მომსახურების ღირებულება და აღნიშნულის შესახებ წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით შეატყობინოს დამკვეთს მისთვის ხელმისაწვდომი გზით, მათ შორის შემსრულებლის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე წწწწ.გოლდ.ნეტ.გე-ზე ინფორმაციის გამოქვეყნებით, ან/და ელექტრონული ფოსტით ან სხვა ფორმით.

5.11. თუ შემსრულებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, დამკვეთი წერილობითი ფორმით აფრთხილებს შემსრულებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.12. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.13. იმ შემთხვევაში, ტუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე.

5.14. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მიწოდებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან.

5.15. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. ფორს-მაჟორი

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

6.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

- სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა.).
- გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემიები, ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო.
- ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

6.3 მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ფორს-მაჟორულ მოვლენასთან გათანაბრებულია მესამე პირთა ბრალეული და/ან არაბრალეული ქმედებანი, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იგულისხმება ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია, ენერგეტიკული კრიზისი და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სხვა გარემოებები.

6.4 მხარეები ფორს-მაჟორულ მოვლენად მიიჩნევენ შემსრულებლის პარტნიორების მიერ შემსრულებლისათვის ინტერნეტ მომსახურების (ინფორმაციის მიწოდების) შეწყვეტას.

6.5. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

6.6 ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყონებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

6.7 ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყონებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.8 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა დამკვეთის პირველადი რეგისტრაციის დროს.

7. ხელშეკრულების / გასაწევი მომსახურების ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები:

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 219,00 ლარს, ხოლო ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2628,00 (ორი ათას ექვსას ოცდარვა) ლარს. ანგარიშწორება განხორციელდება ხელშეკრულებაში მითითებულ შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე.

7.2 გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ყოველთვიურად, გაწეული მომსახურების მიხედვით, შემსრულებლის მიერ შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3. შემდგომი თვის სააბონენტო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში მიმდინარე საანგარიშო პერიოდის დასრულებისთანავე დამკვეთს შეუჩერდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება.

7.4. სააბონენტო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსრულებელი უნარჩუნებს დამკვეთს სააბონენტო რეგისტრაციას 10 კალენდარული დღის განმავლობაში და აჩერებს მომსახურების მიწოდებას. მომსახურების შეჩერებიდან მეოთხე და მერვე დღეს შემსრულებელი დამკვეთს უგზავნის მოკლე ტექსტურ შეტყობინებას არსებული დავალიანების თაობაზე დამკვეთის მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე (როგორც ეს მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტში – მხარეთა რეკვიზიტები). აღნიშნულ პერიოდში (იგულისხმება 10 კალენდარული დღე) დამკვეთისათვის მომსახურების გაწევას შემსრულებელი განაახლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი სრულად გადაიხდის მომსახურების ყოველთვიურ გადასახადს და დარიცხულ დავალიენებას (მათ შორის ჯარიმებს). დამკვეთის მიერ მომსახურების ყოველთვიური ღირებულებისა და დაგროვებული დავალიანების სრულად გადახდის თარიღი ჩაითვლება საანგარიშო პერიოდის ახალ საწყის თარიღად. წინამდებარე მუხლში მითითებული 10 (ათი) დღიანი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებრე ხელშეკრულების მოქმედება და მოახდინოს დამკვეთის ტერიტორიაზე / ფართზე დამონტაჟებული / განთავსებული შემსრულებლის კუთვნილი აპარატურის დემონტაჟი.

7.5 მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული 10 კალენდარულ დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ შემსრულებელი იტოვებს უფლებას დაარიცხოს დამკვეთს ხელახალი ჩართვის ღირებულება 12 ლარის ოდენობით.

7.6. მხარეები დამატებით თანხმდებიან, რომ დამკვეთის მიერ ექვსი თვის მომსახურების ღირებულების წინასწარი გადახდის შემთხვევაში დამკვეთი სარგებლობს 10%-იანი, ხოლო ერთი წლის მომსახურების ღირებულების წინასწარი გადახდის შემთხვევაში 20%-იანი ფასდაკლებით.

7.7. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შეჩერების ფასიანი უფლების გამოყენებისათვის დამკვეთი იხდის 50 (ორმოცდაათი) თეთრს ყოველ შეჩერებულ კალენდარულ დღეზე. აღნიშნული თანხის გადახდა დამკვეთის მიერ უნდა მოხდეს წინასწარი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შეჩერებამდე.

8. მომსახურებით სარგებლობის წესები:

8.1 მომსახურებით სარგებლობისას აკრძალულია:

- რეკლამის, ინფორმაციის ან სხვა მასალების მასიური გადაცემა ინტერნეტის სხვა მომხმარებელთათვის ასეთი მასალების ადრესატების თანხმობის გარეშე, როგორც ელექტრონული მისამართების, ისე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ელექტრონული გამოცემების მეშვეობით და კონფერენციების მეშვეობით, რომლებიც არ არის განკუთვნილი ამ მიზნისათვის.
- ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში და ინტერნეტის სხვა კომპონენტებში არასანქცირებული შეღწევა.

8.2 8.1 ეუმუხლში აღნიშნული დარღვევის აღმოსაფხვრელად სპეციალისტის ვიზიტის მომსახურება ფასიანია და პირველ ჯერზე შედგენს 20 ლარს, ხოლო ყოველ დანარჩენზე 40 ლარს.

9. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები:

9.1 მომსახურების მიწოდება ხორციელდება უწყვეტად 2021 წლის 01 იანვრიდან და გრძელდება 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ემომსახურების ვადა განხორციელდება 24 საათიან რეჟიმში.

9.2 თუ დამკვეთი, ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე 1 კვირით ადრე მაინც არ აცნობებს კოპანიას წერილობით მისი შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების მოქმედება გრძელდება ავტომატურად იგივე ვადით. ხელშეკრულება მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:

- შემსრულებლის მიერ ცალმხრივად, დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას, თუ დამკვეთს აცნობეს ვალდებულების დარღვევის ფაქტის შესახებ და დამკვეთი არ გამოასწორებს დარღვევას 10 კალენდარული დღის ვადაში;
- შემსრულებლის მიერ ცალმხრივად, 7.4 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების შეჩერებიდან 10 კალენდარული დღის შემდეგ დამკვეთის მიერ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში;
- დამკვეთის მიერ ცალმხრივად, თუ შემსრულებელი არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამგვარი დარღვევა გრძელდება 10 კალენდარული დღეზე მეტ ხანს.

მხარეები თანხმდებიან, რომ ეს მუხლი არ ვრცელდება ფორს-მაჟორის დროს.

9.4 ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა არ ნიშნავს არსებული დავალიანების გადახდის ვალდებულების შეწყვეტას. შესაბამისად, დამკვეთი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია შემსრულებელს გადაუხადოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დაგროვებული დავალიანება.

9.5 ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.6 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა და მუშაკებისათვის.

9.7 წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებასა და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

9.8 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულებული იქნება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.9 დამკვეთი პასუხს აგებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლში მითითებული დამკვეთის საკონტაქტო მონაცემების სისწორეზე. მითითებულ მონაცემთაგან რომელიმეს ცვლილების თაობაზე დამკვეთმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს დამკვეთის უშუალო მენეჯერს.

9.10 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

9.11 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეულ მხარეს გადაეცემა ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

9.12 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით რომელიმე მხარისათვის გასაგზავნი ნებისმიერი შეტყობინება ან მოთხოვნა გაცემული უნდა იქნას ქვემოთმითითებული რეკვიზიტების გათვალისწინებით. აღნიშნული რეკვიზიტები, აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იქნას ანგარიშსწორების დროს. თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეტყობინება ან მოთხოვნა მიწოდებულად უნდა ჩაითვალოს შეტყობინების ან მოთხოვნის მობილურის ნომერზე ტექსტური შეტყობინების, ფაქსის ან ელ-ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის დროს, ხოლო ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - ფოსტაში განთავსებიდან მე-5 დღეს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც შეტყობინება ადრესატს არ ჩაბარდა:

10. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი:
დასახელება: შპს „სქაიტელი“
ს/ნ: 400013748
მის: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი,
დ. გურამიშვილის გამზ., №23ა
ტელ: 0322 500 300
ბანკი: პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ნ: GE22PC0383600100001398
დირექტორი: არჩილ ხოჯაშვილი
ხელმოწერა:

SKYTEL LTD

Digitally signed by SKYTEL LTD
Date: 2021.01.18 14:05:05 +04'00'

დამკვეთი: ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი”
საიდენტიფიკაციო კოდი: 445399391
მის: ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. №46ა

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, მხარეებმა საკუთარი უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით ზემოთმითითებულ დღესა და წელს გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება.

დამკვეთი: ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი” დირექტორი: **გოჩა ბერიძე**

შემსრულებლი: შპს “SKYTEL”–ის დირექტორი: **არჩილ ხოჯაშვილი**

დანართი №1

შპს „SKYTEL”ის მიერ მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებაზე

1. შემსრულების მიერ დამკვეთისათვის ხელშეკრულების საფუძველზე გასაწევი მომსახურების აღწერილობა:
<u>1.1. ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი დამკვეთს უწევს ინტერნეტ მომსახურებას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების გათვალისწინებით:</u>

- ინტერნეტთან დაშვების სიჩქარე ციტრუსოვანთა მეურნეობებში 3 დან 4 მბ/წმ, ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში 7 მბ/წმ.
- კონსულტაციების მიღება ტელეფონით და საჭიროების შემთხვევაში შპს „3GOLDNET“-ის თანამშრომლის გამოძახება.

2. შემსრულების მიერ დამკვეთისათვის ხელშეკრულების საფუძველზე გასაწევი მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის პირობები
1.1 შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემული მიმღები მოწყობილობა :

ტექნიკა/ტიპი	რაოდენობა
ąLitebeam m5	2
ąirgrid m5	1
ანტენის კოდი	(k)44D9E7B82283, (k)44D9E7B83027
შენიშვნა	

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, მხარეებმა საკუთარი უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით ზემოთმითითებულ დღესა და წელს გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება.

დამკვეთი:
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი”-ს
დირექტორი **გოჩა ბერიძე**

შემსრულებლი:
შპს "SKYTEL" –ის დირექტორი : არჩილ ხოჯაშვილი

დანართი №2

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	მომსახურების დასახელება	განზომილება	ერთეულის ღირებულება	რაოდენობა	მთლიანი ღირებულება
1	CPV კოდი 72400000 ინტერნეტ მომსახურებები	უსადენო ინტერნეტ მომსახურება – სააბონენტო გადასახადი (ციტრუსოვანთა მეურნეობა 1)	თვე	50,00	12	600,00
2		უსადენო ინტერნეტ მომსახურება – სააბონენტო გადასახადი (ციტრუსოვანთა მეურნეობა 2)	თვე	50,00	12	600,00
3		უსადენო ინტერნეტ მომსახურება – სააბონენტო გადასახადი (ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობა)	თვე	119,00	12	1428,00
ჯამი			ლარი			**2628,00**

დამკვეთი:
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"-ს
დირექტორი გოჩა ბერიძე

შემსრულებლი:
შპს “SKYTEL” –ის დირექტორი : არჩილ ხოჯაშვილი

agros
ervice
centre

Digitally signed by agroservice centre
Date: 2021.01.18 18:46:58 +04'00'